ძალმოსილება ქართული ენის ეროვნული თვითმყოფადობისა

ავტორი: **როინ ჭიკაძე**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N 1

ელფოსტა: roinchikadze@gmail.com

ანოტაცია

ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, სათავეს იღებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნიდან. ქართული ენა ისტორიულად ეროვნული კონსოლიდაციის მძლავრი ბერკეტი იყო. ენა და ერი იმთავითვე განუყოფელი იყო. საერთოდაც, ადრეულ პერიოდში ქართულმა ენამ იტვირთა საერთო ეროვნული მისია. ქართული ენა ეროვნული ერთიანობის გარანტიაა. ქართულმა სალიტერატურო ენამ უდიდესი როლი შეასრულა ერთიანი ეროვნული და სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. ცნება **„ქართული ენისა“** მოიცავს როგორც საკუთრივ ქართულ ენას, ისე მეგრულ-ჭანურსა და სვანურს, რომელთათვისაც ქართული ფუძე ენაა.

აღსანიშნავია, რომ იაკობ გოგგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ეროვნული მუხტის გასაძლიერებლად და სასწავლო-მეთოდური დახმარების მიზნით ინტენსიური ურთიერთობა დაამყარა თელავის, ახმეტის, გურჯაანის, სიღნაღის, ომალოს, ჭერემის და ჩრდილო ოსეთის სკოლებთან. ამასთანავე, გამორჩეულ მნიშვნელობა მიენიჭა პანკისის ხეობის სკოლებთან სასწავლო-მეთოდურ დახმარებას.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, ერი, თვითმყოფადობა

შესავალი

ქართული მარტო ენაა?
ქართული ქართველთ რწმენაა?!
ღმერთია! ბედისწერაა!
ზღვა როა, იმოდენაა!

მუხრან მაჭავარიანი

ქართველმა ხალხმა ცეცხლითა და მახვილით გამოატარა თავისი ღვიძლი დედაენა ურიცხვი ქარტეხილების გზაზე და დღემდე მოიტანა როგორც უპირველესი ნიშანი ეროვნული თვითმყოფადობისა. და ეს უპირველესი ბურჯი ეროვნული მეობისა - **„ენაᲲ შემკული და კურთხეული... მოელის დღესა მას მეორედ მოსლვისა უფლისასა.“** ასე რომ, ქართული ენა იმთავითვე უფლისმიერი სხივმოსილებით აღბეჭდილა.

ძირითადი ნაწილი

ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, სათავეს იღებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნიდან; მემატიანე გვაუწყებს: მეფე ფარნავაზმა **„განავრცო ენა ქართული და არღა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳინიერ ქართულისა.“**

ქართული ენა ისტორიულად ეროვნული კონსოლიდაციის მძლავრი ბერკეტი იყო. ენა და ერი იმთავითვე განუყოფელი იყო, რასაც მეათე საუკუნის მოღვაწე გიორგი მერჩულე გვიდასტურებს: **„ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების.“**

მე-19 საუკუნის მოღვაწეები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი... ერთმანეთსაც არ ჰპატიობნენ მცირე ენობრივ გადაცდენებსაც კი და ნიადაგ იღწვოდნენ ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დასაცავად.

როგორც ილია ჭავჭავაძე გვმოძღვრავს, **„არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა“**... ის ენა, რომელსაც იაკობ გოგებაშვილმა დაუდგა ხელთუქმნელი ძეგლი სამარადისო - **„დედა ენა.“**

მართალია, **„სახარება“**, **„ვეფხისტყაოსანი“** და **„ქართლის ცხოვრება“** იყო შუა საუკუნეების საქართვე;ლოს სახელმწიფოს იდეურ-პოლიტიკური საყრდენი (როინ მეტრეველი), მაგრამ ამ წმინდა წიგნებს თამამად შეიძლება ამოვუყენოთ მეოთხე საყრდენი - **„დედაენა“**. პროფესორ გიორგი გოგოლაშვილის შეფასებით *„იაკობ გოგებაშვილის დედაენამ“ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში, განვითარებასა და დამკვიდრებაში ისეთივე როლი შეასრულა, როგორც წმინდა **„სახარებამ“** ძველი ქართული ენის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში“.*

საერთოდაც, ამ პერიოდში ქართულმა ენამ იტვირთა საერთო ეროვნული მისია. ქართული ენა ეროვნული ერთიანობის გარანტია. ქართულმა სალიტერატურო ენამ უდიდესი როლი შეასრულა ერთიანი ეროვნული და სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. ცნება **„ქართული ენისა“** მოიცავს როგორც საკუთრივ ქართულ ენას, ისე მეგრულ-ჭანურსა და სვანურს, რომელთათვისაც ქართული ფუძე ენაა. მე-18 საუკუნის ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი თავის ცნობილ ნაშრომში _ **„აღწერა სამეფოსა საქართველოჲსა“** წერს: *„თუ ჰკითხავთ ვინმე ქართლელს, იმერელს, მესხს, ჰერ-კახელს _ „რა რჯული ხარ?“, მოგიგებს: „ქართველი“.*

სალიტერატურო ქართული ენის ძალა სწორედ ისაა, რომ ის ერთიანია, მთლიანი და განუყოფელია და მთელი ერის საერთო ენაა. ამიტომაცაა, რომ *„ქართული ენის სიწმინდის დაცვა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორიც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოისა“.* (კონსტანტინე გამსახურდია).

სრულიად წარმოუდგენელია, შექმნილიყო ესოდენ მდიდარი და ორიგინალური თუ თარგმნილი ლიტერატურა, რომ არ გვქონოდა უძველესი ქართული ანბანი, რომლის თაობაზეც ქართული დამწერლობის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელი ივანე ჯავახიშვილი დაასკვნიდა: *„სამუდამოდ უკუგდებულ უნდა იყოს აზრი ქართული ანბანის მეხუთე საუკუნეში გამოგონების შესახებ და განმტკიცდეს აზრი, რომ ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი შორეულ წარსულში და მცირე აზიაში უნდა ვეძიოთ. ქართული ანბანის მოხაზულობა ისეთია, რომ ის არ შეიძლება წარმართული ხანისა არ იყოს... არამც თუ წარმართობის ხანისა, უუძველეს ხანას ეკუთვნის“.*

მართლაც სრულიად გამორჩეულია ქართული ანბანის სამსახეობის (მრგვლოვანის, ნუსხურის, მხედრულის) გრაფიკული გამოხატულება, რომელიც პალეოგრაფიული

ხელოვნების შედეგრია. ამიტომაცაა, რომ 2003 წელს იუნესკომ ქართულ ანბანს მიანიჭა **არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.**

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართლიანად ამაყობს, რომ მას დაენათლა „დედაენის“ შემქმნელის სახელი და ეწოდა **იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.**

...და ჩვენც იაკობ გოგებაშვილის მოძღვრების კვალდაკვალ ეროვნული მუხტის გასაძლიერებლად და სასწავლო-მეთოდური დახმარების მიზნით ინტენსიური ურთიერთობა დავამყარეთ თელავის, ახმეტის, გურჯაანის, სიღნაღის, ომალოს, ჭერემის და ჩრდილო ოსეთის სკოლებთან. ამასთანავე, გამორჩეულ მნიშვნელობას ვანიჭებდით პანკისის ხეობის სკოლებთან სასწავლო-მეთოდურ დახმარებას; კერძოდ, 2003 წლის 14 აპრილს, ქართული ენის დღეს, უნივერსიტეტში მოვაწყეთ **„პანკისის ხეობის სკოლების ერთი დღე თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში“** და პანკისის სკოლების მასწავლებლებსა და მოსწავლეებს საჩუქრად გადავეცით იაკობ გოგებაშვილის „დედაენისა“ და „საქართველოს უახლესი ისტორიის“ ასამდე წიგნი.

ღირსსაცნობია, რომ დუისის, ჯოყოლოს, დუმასტურის, ძიბახევის, ბირკიანის, ომალოს, საკობიანოს, ყვარელწყალის... სკოლებში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თელავის უნივერსიტეტის მრავალი კურსდამთავრებული ქისტი მასწავლებელი. ამასთან ერთად, შემლებისდაგვარად ვეწეოდით საგანმანათლებლო-საქველმოქმედო საქმიანობას; კერძოდ, ქისტ და ინგილო აბიტურიენტებს უგამოცდოდ ჩავრიცხავდით ფასიან სექტორზე და ვათავისუფლებდით სწავლის ქირის გადასახადისაგან.

უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ქართული ენის კათედრის წევრთა მონაწილეობა ჩრდილო ოსეთის ქართული სკოლის 100 წლის აღსანიშნავ საიუბილეო ზეიმში, სადაც ჩავატარეთ საჩვენებელი გაკვეთილები, რომლებსაც უძღვებოდნენ უნივერსიტეტის გამოცდილი პროფესორ-მასწავლებლები: ლეილა შალვაშვილი, მაყვალა მიქელაძე, ლია ტალახაძე... ამ სკოლის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან მათ ჩაატარეს მეთოდური საუბრები და ხაზი გაუსვეს ჩრდილო ოსეთის ქართული სკოლის უდიდეს მნიშვნელობას ოსი და ქართველი ხალხის მეგობრობის განსამტკიცებლად.

დასკვნა

ასე რომ, ქართული ენის წიაღში ხეტიალი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა... და მეც რუსთველური სენტენციის მოშველიებით **„ესე ჟამი მასვე ჟამსა დავადარე!“**

და დღეს, ქართული ენის დღეს, სიამაყით ვიხსენებთ იმ სასიკეთო ღვაწლმოსილებას, რაც დავიწყებით არ იბინდება!